<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი დოკუმენტების სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ

საქართველოს კანონი "დოკუმენტების სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ" განსაზღვრავს სახელმწიფოს პოლიტიკას დოკუმენტების სავალდებულო ეგზემპლარის ფორმირების სფეროში, რომელიც წარმოადგენს საქართველოს მთლიანი ეროვნული საბიბლიოთეკო-საინფორმაციო ფონდის დაკომპლექტების საფუძველს, უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული ბიბლიოგრაფიის წარმოებას და განვითარებას, საქართველოს ეროვნული დოკუმენტური მემკვიდრეობის დაცვას, შენახვასა და საყოველთაო ხელმისაწვდომობას; ადგენს დოკუმენტების სავალდებულო ეგზემპლარის სახეობებს, დოკუმენტების მწარმოებლებისა და მიმღებთა კატეგორიებს, მათ უფლებებსა და მოვალეობებს, ეროვნული საბიბლიოთეკო და საინფორმაციო ფონდების ფორმირების წესს და პასუხისმგებლობას განსაზღვრული მოვალეობების დარღვევის შემთხვევაში.

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის მოქმედების სფერო

1.ამ კანონის მოქმედება ვრცელდება სავალდებულო ეგზემპლარის მწარმოებლებზე, სავალდებულო ეგზემპლარის ეროვნულ და რეგიონალურ მიმღებებზე, მათ შორის ორგანიზაციებზე, რომლებიც ანაწილებენ სავალდებულო ეგზემპლარს, აგრეთვე იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე, რომლებიც მონაწილეობენ დოკუმენტების სავალდებულო ეგზემპლარების მიღებაში, გავრცელებასა და წარმოებაში, გადაცემასა და დაცვაში.

მუხლი 2. საქართველოს კანონმდებლობა სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ

1.საქართველოს კანონმდებლობა სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ შედგება საქართველოს ამ კანონისაგან, საქართველოს სხვა კანონებისაგან და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

მუხლი 3. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისთვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ეროვნული ბიბლიოგრაფია - ბიბლიოგრაფია, რომელიც აღწერს, არეგისტრირებს და აღრიცხავს მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე გამოცემულ ყველა სახეობის დოკუმენტს, აგრეთვე უცხოურ პუბლიკაციებს მოცემულ ქვეყანაზე და ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამოცემულ თანამემამულეთა ნაშრომებს;

ბ) **დოკუმენტი** - მატერიალურ ობიექტი მასზე დაფიქსირებული ნებისმიერი ფორმის ინფორმაციით ტექსტის, ხმოვანი ჩანაწერის, გამოსახულების ან მათი კომბინაციის სახით, რომლის რეკვიზიტების საშუალებითაც ხდება მისი იდენტიფიცირება და განკუთვნილია დროსა და სივრცეში გადასაცემად საზოგადოებრივი გამოყენების მიზნით და შესანახად.

გ) **ელექტრონული დოკუმენტი** - ელექტრონული დოკუმენტი არის დოკუმენტი, რომლის დაცვა, გადაცემა, წაკითხვა, ნახვა ან მოსმენა შესაძლებელია მხოლოდ ინფორმაციის ელექტრონულ (მაგნიტურ, ოპტიკურ და სხვ.) მატარებელზე კომპიუტერის გამოყენებით. ელექტრონული დოკუმენტი შეიძლება იყოს ორი სახის: ავტონომიური და ქსელური.

დ) **ავტონომიური ელექტრონული დოკუმენტები** - დოკუმენტები გამოცემული ინფორმაციის ელექტრონულ (მაგნიტურ, ოპტიკურ და სხვ.) მატარებლებზე (CD, DVD და სხვ.), რომელთა გამოყენება შესაძლებელია ავტონომიურად კომპიუტერის საშუალებით.

ე) **ქსელური ელექტრონული დოკუმენტები** - დოკუმენტები გამოქვეყნებული ინტერნეტში, იმის მიუხედავად, შეზღუდულია თუ არა მათი ხელმისაწვდომობა და რომლებიც შესაძლებელია შეიცავდეს მთლიან ვებ-საიტს, მის ნაწილს, ან ელექტრონული დოკუმენტის გავრცელების ნებისმიერი ფორმატის (HTML, PDF და სხვ.) ფაილს.

ვ) **ეგზემპლარი** - ტირაჟირებული დოკუმენტის ნიმუში, რომელიც ორიგინალის იდენტურია;

ზ) **დოკუმენტების მწარმოებელი** - იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს სავალდებულო ეგზემპლარის მომზადებას და პუბლიკაციას (გამოშვებას).

თ) **დოკუმენტების სავალდებულო ეგზემპლარი** (შემდგომში - სავალდებულო ეგზემპლარი) - სხვადასხვა სახეობის ტირაჟირებული დოკუმენტების ეგზემპლარები, რომლებიც ექვემდებარება მწარმოებლების მიერ შესაბამის ორგანიზაციებზე უსასყიდლოდ გადაცემას ამ კანონით დადგენილი წესითა და რაოდენობით;

ი) **რესპუბლიკური სავალდებულო ეგზემპლარი** - სხვადასხვა სახეობის დოკუმენტების ეგზემპლარები, დამზადებული საქართველოს ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ საქართველოს დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების ან პირების შეკვეთით, აგრეთვე დოკუმენტები, იმპორტირებული საქართველოს ტერიტორიაზე საზოგადოებრივი გავრცელებისთვის, რომლებიც ექვემდებარება მათი მწარმოებლების მიერ უსასყიდლოდ გადაცემას შესაბამის ორგანიზაციებზე ამ კანონით დადგენილი წესით. რესპუბლიკური სავალდებულო ეგზემპლარით კომპლექტდება ეროვნული მიმღებები.

კ) **ავტონომიური სავალდებულო ეგზემპლარი**- სხვადასხვა სახეობის დოკუმენტების ეგზემპლარები, დამზადებული საქართველოს ავტონომიების ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ საქართველოს ავტონომიების დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების ან პირების შეკვეთით, რომლებიც ექვემდებარება მათი მწარმოებლების

მიერ უსასყიდლოდ გადაცემას საქართველოს სუბიექტების შესაბამის ორგანიზაციებზე ამ კანონით დადგენილი წესით;

ლ) **სამხარეო სავალდებულო ეგზემპლარი** - სხვადასხვა სახეობის დოკუმენტების ეგზემპლარები, დამზადებული საქართველოს მხარეების ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ საქართველოს მხარეების დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების ან პირების შეკვეთით, რომლებიც ექვემდებარება მათი მწარმოებლების მიერ უსასყიდლოდ გადაცემას საქართველოს მხარეების შესაბამის ორგანიზაციებზე ამ კანონით დადგენილი წესით;

მ) **დოკუმენტების მიმღები** - ამ კანონით განსაზღვრული ეროვნული ბიბლიოგრაფიის მწარმოებელი.

ნ) **სავალდებულო ეგზემპლარის სისტემა** - სავალდებულო ეგზემპლარების სახეობათა ერთობლიობა, აგრეთვე მათი შეგროვების, დანაწილების და გამოყენების დადგენილი წესი;

ო) **საქართველოს საბიბლიოთეკო-საინფორმაციო დოკუმენტების ეროვნული ფონდი** - ყველა სახეობის დოკუმენტური რესურსის ფონდი, რომელიც დაკომპლექტებულია რესპუბლიკური სავალდებულო ეგზემპლარის საფუძველზე, დანაწილებულია ამ კანონის შესაბამისად, განკუთვნილია მუდმივი შენახვისა და საზოგადოებრივი გამოყენებისათვის და წარმოადგენს საქართველოს ხალხთა კულტურული მემკვიდრეობის ნაწილს.

პ) **სამხარეო საბიბლიოთეკო და საინფორმაციო ფონდი** - საქართველოს სამხარეო ან ავტონომიური დანაყოფის ცენტრებში ორგანიზებული საბიბლიოთეკო და საინფორმაციო დოკუმენტების ფონდი, რომელიც ყალიბდება დოკუმენტების ადგილობრივი მწარმოებლის მიერ ამ კანონით განსაზღვრული დოკუმენტების სამხარეო მიმღებებში გადაცემის, დაცვისა და საყოველთაო ხელმისაწვდომობისათვის. სამხარეო ფონდი კომპლექტდება ავტონომიური და სამხარეო სავალდებულო ეგზემპლარებით.

ჟ) **მხარე** - საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული.

მუხლი 4. სავალდებულო ეგზემპლარის სისტემის ფორმირების მიზანი

სავალდებულო ეგზემპლარის სისტემის ფორმირების მიზანია:

ა) ეროვნული საბიბლიოთეკო და საინფორმაციო ფონდების, როგორც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნაწილის, დაკომპლექტების სრულყოფა;

ბ) დოკუმენტების სავალდებულო ეგზემპლარის მუდმივი დაცვისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ამ კანონით განსაზღვრულ სავალდებულო ეგზემპლარის ეროვნულ, ავტონომიურ და სამხარეო მიმღებებში საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

გ) მისი გამოყენება მომხმარებელთა საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული და საბიბლიოთეკო მომსახურების მიზნით;

დ) სამამულო დოკუმენტების სახელმწიფო რეგისტრაცია (ბიბლიოგრაფიული და სტატისტიკური), ბიბლიოგრაფიული აღრიცხვის უზრუნველყოფა, სახელმწიფო ბიბლიოგრაფიული და სტატისტიკური ინფორმაციის მომზადება;

ე) მიმდინარე და რეტროსპექტული სახელმწიფო ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლებისა და სტატისტიკური ცნობარების გამოცემის უზრუნველყოფა;

ვ) სასიგნალო და რეფერატული ინფორმაციის გაერთიანებული კატალოგების მომზადება და გამოცემა მიღებული დოკუმენტების სახეობების შესაბამისად;

ზ) საზოგადოების ინფორმირება ყველა სახეობის სავალდებულო ეგზემპლარის მიღების შესახებ;

თ) ცენტრალიზებული კატალოგიზაციის წარმოება მიღებული დოკუმენტების სახეობების შესაბამისად;

ი) მიღებულ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მათ შორის საინფორმაციო-ტელესაკომუნიკაციო ქსელების საშუალებით.

მუხლი 5. დოკუმენტების სახეობები, რომლებიც მიეკუთვნება სავალდებულო ეგზემპლარებს

დოკუმენტების სავალდებულო ეგზემპლარები მოიცავს შემდეგი სახის დოკუმენტებს:

1.ბეჭდური გამოცემები (ტექსტური, სანოტო, კარტოგრაფიული, სახვითი) - გამოცემები, რომლებსაც გავლილი აქვთ სარედაქციო-საგამომცემლო დამუშავება, პოლიგრაფიულად დამოუკიდებლად გაფორმებულია და ახლავს სარედაქციო გამოსასვლელი ცნობები;

1.2 გამოცემები უსინათლოთათვის და სუსტი მხედველობის მქონეთათვის - გამოცემები, დამზადებული რელიეფურ-წერტილოვანი შრიფტით ბრაილის სისტემის მიხედვით, რელიეფურ-გრაფიკული გამოცემები, ხმოვანი წიგნები, მსხვილშრიფტიანი გამოცემები სუსტი მხედველობის მქონეთათვის, ელექტრონული გამოცემები უსინათლოთათვის (ადაპტირებული გამოცემები ბრაილის დისპლეის და მეტყველების სინთეზატორის გამოყენებით);

1.3 აუდიოვიზუალური პროდუქცია - კინო, ვიდეო, ფონო, ფოტოპროდუქცია და მათი კომბინაციები, შექმნილი და რეპროდუცირებული ინფორმაციის ნებისმიერ მატარებელზე;

1.4 ელექტრონული გამოცემები (ავტონომიური და ქსელური)- დოკუმენტები, რომლებშიც ინფორმაცია წარმოდგენილია ელექტრონულ-ციფრული ფორმით და რომლებმაც გაიარეს სარედაქციო-საგამომცემლო დამუშავება, ახლავთ გამოსასვლელი ცნობები, მათი ტირაჟირება და გავრცელება ხორციელდება კომპიუტერის საშუალებით;

1.5 გამოუქვეყნებელი დოკუმენტები - დოკუმენტები, რომლებიც შეიცავს სამეცნიერო-კვლევით, საცდელ-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ნაშრომებს (დისერტაციები, სამეცნიერო-კვლევითი ანგარიშები, დეპონირებული სამეცნიერო შრომები, ალგორითმები და პროგრამები)

1.6 საპატენტო დოკუმენტები - პატენტების აღწერილობები და განაცხადები სამრეწველო საკუთრების შესახებ;

1.7 პროგრამები ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანებისთვის და მონაცემთა ბაზები მატერიალურ მატარებელზე;

1.8 კომბინირებული დოკუმენტები - მულტიმედია - დოკუმენტების ერთობლიობა, შესრულებული სხვადასხვა მატარებელზე (ბეჭდური, აუდიოვიზუალური, ელექტრონული);

2. საქართველოს ავტონომიური სუბიექტების სახელმწიფო ორგანოებს და ადგილობრივ თვითმმართველობებს საკუთარი მოთხოვნების შესაბამისად თავად შეუძლიათ განსაზღვრონ დოკუმენტების სახეობები, რომლებსაც მოიცავს საქართველოს ავტონომიების სავალდებულო ეგზემპლარები და საქართველოს სამხარეო სავალდებულო ეგზემპლარები;

მუხლი 6. სავალდებულო ეგზემპლარებს არ განეკუთვნება

1. შესავსები ფორმები და ბლანკები, კონვერტები და საფოსტო გზავნილების მასალები, მოსაწვევები, მენიუები, ბილეთები, დოკუმენტების ნაწილები, თამაშები.

2. სახელმწიფო და პირადი საიდუმლოების შემცველი, აგრეთვე საწარმოო ხასიათის დოკუმენტები.

თავი II

დოკუმენტების მწარმოებელთა ვალდებულებები და უფლებები

მუხლი 7. სავალდებულო ეგზემპლარის მომზადების, პუბლიკაციის (გამოშვების), და დანაწილების (გადაცემა, მიწოდება) ხარჯები

1. დოკუმენტების მწარმოებლები ვალდებული არიან სავალდებულო ეგზემპლარი უსასყიდლოდ გადასცენ დოკუმენტების მიმღებებს. დოკუმენტების მწარმოებლები სავალდებულო ეგზემპლარის მომზადების, პუბლიკაციის (გამოშვების), და დანაწილების (გადაცემა, მიწოდება) ხარჯებს ასახავენ წარმოებული საგამომცემლო პროდუქციის თვითღირებულებაში, რომელსაც სავალდებულო ეგზემპლარი მოიცავს;

2. დეფექტიანი სავალდებულო ეგზემპლარი დოკუმენტების მიმღებთა მოთხოვნით მწარმოებლების მიერ ჩანაცვლდება ერთი თვის ვადაში;

3. დოკუმენტების მიმღებებს უფლება აქვთ მწარმოებლების ხარჯით შეისყიდონ დანაკლისი სავალდებულო ეგზემპლარები, რომლებიც მწარმოებლებმა არ მიაწოდეს;

მუხლი 8. ბეჭდური გამოცემების სავალდებულო ეგზემპლარის გადაცემა

1.დოკუმენტების მწარმოებლები გადასცემენ პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას პოლიგრაფიული ორგანიზაციების საშუალებით ყველა სახეობის ბეჭდურ დოკუმენტებს ტირაჟის პირველი პარტიის გამოსვლის დღიდან 3 დღის ვადაში, 2 ეგზემპლარის ოდენობით;

2.დოკუმენტების მწარმოებლები პოლიგრაფიული ორგანიზაციების საშუალებით გადასცემენ ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ ბიბლიოთეკას ყველა სახეობის ბეჭდურ დოკუმენტებს ტირაჟის პირველი პარტიის გამოსვლის დღიდან 3 დღის ვადაში, 1 ეგზემპლარის ოდენობით;

3.დოკუმენტების მწარმოებლები პოლიგრაფიული ორგანიზაციების საშუალებით გადასცემენ სამხარეო სავალდებულო ეგზემპლარს მხარის ცენტრალურ ბიბლიოთეკას ყველა სახეობის ბეჭდურ დოკუმენტებს ტირაჟის პირველი პარტიის გამოსვლის დღიდან 3 დღის ვადაში, 1 ეგზემპლარის ოდენობით;

მუხლი 9. ეროვნული საბიბლიოთეკო და საინფორმაციო ფონდის ფორმირების წესი

1. დოკუმენტების მწარმოებლები არიან: გამომცემლები, საგამომცემლო-პოლიგრაფიული ან პოლიგრაფიული საწარმოები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა რედაქციები, მუსიკალურ გამოცემათა მწარმოებელი ორგანიზაციები, ტელე და რადიო-კომიტეტები, კინოსტუდიები, ვიდეო და კინემატოგრაფიული საწარმოები, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, უმაღლესი სასწავლებლები, საპროექტო და საკონსტრუქტორო და სხვა სახის დაწესებულებები და ორგანიზაციები, კერძო პირები რომლებიც ამზადებენ და გამოსცემენ სხვადასხვა სახის დოკუმენტებს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე გამოცემული ყველა სახეობის დოკუმენტების დაცვისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით იქმნება სავალდებულო ეგზემპლარის ეროვნული და რეგიონალური ფონდები.

3. დოკუმენტების მწარმოებლები ეროვნულ მიმღებებს გადასცემენ (პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკა) პოლიგრაფიული ორგანიზაციების საშუალებით ყველა სახეობის ბეჭდურ დოკუმენტებს ტირაჟის პირველი პარტიის გამოსვლის დღეს 2 ეგზემპლარის ოდენობით;

4.დოკუმენტების მწარმოებლები ვალდებულნი არიან სავალდებულო ეგზემპლარის საკუთარი ხარჯებით გადაგზავნაზე ტირაჟის პირველი პარტიის გამოსვლის დღიდან.

მუხლი 10. რეგიონალური საბიბლიოთეკო და საინფორმაციო ფონდების ფორმირების წესი

1. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი დოკუმენტების მწარმოებლები, რომელთაც გააჩნიათ პოლიგრაფიული ბაზა (საგამომცემლო-პოლიგრაფიული საწარმოები, სტამბები, მბეჭდავები და გამამრავლებლები) ვალდებული არიან თავიანთი პროდუქციის თითო ეგზემპლარი უსასყიდლოდ გადასცენ შესაბამის რეგიონალურ მიმღებს წინამდებარე კანონის 22-ე მუხლში ჩამოთვლილი დოკუმენტების სავალდებულო ეგზემპლარის რეგიონალური მიმღებების მიხედვით.

მუხლი 11. ბეჭდური სავალდებულო ეგზემპლარის გადაცემა

1. დოკუმენტების მწარმოებლები პოლიგრაფიული ორგანიზაციების საშუალებით დოკუმენტების სავალდებულო ეგზემპლარებს გადასცემენ ქვემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტების მიმღებებს მითითებული სახეობის და რაოდენობის დაცვით ტირაჟის პირველი პარტიის გამოსვლის დღეს

ა) **ბეჭდური დოკუმენტები:** წიგნები, ბროშურები, ჟურნალები, გაზეთები, სანოტო გამოცემები, კარტოგრაფიული გამოცემები (გეოგრაფიული რუკები, ატლასები და სხვ.), გრძელდებადი გამოცემები (შრომები, ალმანახები, წელიწდეულები და სხვ.) გადაეცემა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას 2 ეგზემპლარის ოდენობით და მათი ელექტრონული ვერსია და რეგიონალურ მიმღებებს 1 ეგზემპლარის ოდენობით ტირაჟის პირველი პარტიის გამოსვლის დღეს;

ბ) **ფურცლოვანი გამოცემები** (აფიშები, ბუკლეტები, პროგრამები და სხვ.) და სახვითი გამოცემები (პლაკატები, ესტამპები, რეპროდუქციების კომპლექტები, კალენდრები, ეტიკეტები, საფოსტო ბარათები, საფოსტო მარკები, ფილატელიური კატალოგები და სხვ.) გადაეცემა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას 2 ეგზემპლარის ოდენობით და მათი ელექტრონული ვერსია და რეგიონალურ მიმღებებს 1 ეგზემპლარის ოდენობით ტირაჟის პირველი პარტიის გამოსვლის დღეს;

გ) **ოფიციალური გამოცემები** (დოკუმენტები, რომლებიც გამოცემულია საკანონმდებლო, აღმასრულებელი ან სასამართლო ხელისუფლების სახელით და ადგილობრივი ხელისუფლების გამოცემები, რომელთაც გააჩნიათ საკანონმდებლო, ნორმატიული ან სადირექტივო ხასიათი: ბრძანებები, განკარგულებები, კანონები, კანონქვემდებარე და ნორმატიული აქტები) გადაეცემა მათი დამტკიცების და რეგისტრაციის შემდეგ : საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას 2 ეგზემპლარის ოდენობით და მათი ელექტრონული ვერსია(ასეთის არსებობის შემთხვევაში); რეგიონალურ მიმღებებს 1 ეგზემპლარის ოდენობით.

მუხლი 12. გამოუქვეყნებელი დოკუმენტების გადაცემა

1. სადისერტაციო ნაშრომებს, ავტორეფერატებსა და დეპონირებულ ხელნაწერებს სავალდებულო ეგზემპლარის უფლებით ეროვნულ ბიბლიოთეკას გადასცემენ საქართველოს სესი - (სწავლულ ექსპერტთა საბჭო) და ქვეყნის შესაბამისი სამეცნიერო საბჭოები:

ა) დისერტაციები - გადაეცემა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას 1 ეგზემპლარის ოდენობით და ელექტრონული ვერსია სამეცნიერო ხარისხის მინიჭებიდან 30 დღის განმავლობაში;

ბ) ავტორეფერატები - გადაეცემა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას 2 ეგზემპლარის ოდენობით და ელექტრონული ვერსია სამეცნიერო ხარისხის მინიჭებიდან 30 დღის განმავლობაში;

გ) დეპონირებული სამეცნიერო შრომები - გადაეცემა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას 30 დღის განმავლობაში სამეცნიერო საბჭოზე გატანისა და დეპონირებულ ნაშრომად აღიარების შემდეგ;

მუხლი 13. სავალდებულო ეგზემპლარები უსინათლოთავის

1. ბრაილის შრიფტით ნაბეჭდი დოკუმენტები და "ხმოვანი წიგნები" გადაეცემათ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას 1 ეგზემპლარის ოდენობით და საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას 1 ეგზემპლარის ოდენობით პირველი ტირაჟის გამოსვლიდან 3 დღის განმავლობაში;

მუხლი14. აუდიოვიზუალური დოკუმენტების გადაცემა

1. ტირაჟირებული აუდიოვიზუალური პროდუქცია გადაეცემა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას და საქართველოს ეროვნულ არქივს 2–2 ეგზემპლარის ოდენობით. აუდიოპროდუქცია გადაეცემა გამოსვლის დღეს, ფილმები და ვიდეოდოკუმენტები მათი კოპირებისთანავე;

მუხლი15. სათამაშო, მულტიპლიკაციური, დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების გადაცემა

1.სათამაშო, მულტიპლიკაციური, დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების გადაცემა პოზიტიური ასლების სახით მათი მონტაჟისა და დუბლირებიდან ერთი თვის ვადაში გადაეცემა საქართველოს ეროვნულ არქივს 1 ეგზემპლარის ოდენობით არაუგვიანეს 1 თვისა მონტაჟის და დუბლირების შემდეგ;

მუხლი 16. ელექტრონული დოკუმენტების გადაცემა

1. ავტონომიური ელექტრონული დოკუმენტები გადაეცემა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას 2 ეგზემპლარის ოდენობით.

2. ქსელური ელექტრონული დოკუმენტები გადაეცემა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას 2 ეგზემპლარის ოდენობით.

მუხლი 17. ავტონომიური ელექტრონული დოკუმენტების სავალდებულო ეგზემპლარის გადაცემის წესი

1. დოკუმენტის მწარმოებელი ვალდებულია გადასცეს დოკუმენტის მიმღებს ავტონომიური ელექტრონული დოკუმენტის სავალდებულო ეგზემპლარი იმ

შემთხვევაში, თუ მან გამოუშვა ავტონომიური ელექტრონული დოკუმენტი საზოგადოებრივი მოხმარებისათვის არანაკლებ 20 ეგზემპლარის ოდენობით;

2. ნებისმიერი სახის ავტონომიური ელექტრონული დოკუმენტი, რომლის გამოყენება შეუძლებელია კომპიუტერის გარეშე, ექვემდებარება ამ კანონს გარდა კომპიუტერული პროგრამებისა და კომპიუტერული თამაშებისა.

3. ავტონომიური ელექტრონული დოკუმენტის სავალდებულო ეგზემპლარი დოკუმენტის მწარმოებლის მიერ უნდა იყოს გადაცემული დოკუმენტის მიმღებისათვის ისეთი სახით, როგორითაც ვრცელდება იგი საზოგადოებრივი მოხმარებისათვის. თუ ავტონომიური ელექტრონული დოკუმენტის გამოყენებისათვის საჭიროა ლიცენზირებული ან ორიგინალური პროგრამული უზრუნველყოფა, მაშინ მისი სავალდებულო ეგზემპლარი გადაეცემა დოკუმენტის მიმღებს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით, გამოყენების ინსტრუქციითა და სხვა დოკუმენტაციით, რომელიც საჭიროა მისი გამოყენებისათვის.

მუხლი 18. ქსელური ელექტრონული დოკუმენტების სავალდებულო ეგზემპლარის გადაცემის წესი

1. ქსელური ელექტრონული დოკუმენტის მწარმოებელი ვალდებულია, შეატყობინოს ახალი დოკუმენტის შექმნის შესახებ და მიაწოდოს დოკუმენტის მეტა-მონაცემები ქსელური ელექტრონული დოკუმენტის მიმღებს, რომ მიმღებმა დროულად ჩართოს ახალი დოკუმენტი საარქივო ასლების ელექტრონულ ფონდში, ციფრულ კოლექციასა და ელექტრონულ კატალოგში. (ახალ ქსელურ დოკუმენტად ითვლება ახლადშექმნილი ან ისეთი ქსელური დოკუმენტი რომელმაც განიცადა ცვლილება შინაარსში, დიზაინში ან ქსელურ მისამართში).

2. ხშირადცვალებადი ქსელური ელექტრონული დოკუმენტის მწარმოებელი ვალდებულია მეტა-მონაცემების ცვლილების შემთხვევაში მიაწოდოს ახალი მეტა-მონაცემები დოკუმენტის შესახებ და ჩამოატვირთვინოს დოკუმენტი მწარმოებელსა და მიმღებს შორის დადებული შეთანხმებით განსაზღვრული პერიოდულობით.

მუხლი 19. საქართველოს შესახებ ან საქართველოს მოქალაქეთა მიერ უცხოეთში გამოცემული დოკუმენტების სავალდებულო ეგზემპლარის გადაცემის წესი

1. საქართველოს შესახებ ან საქართველოს მოქალაქეთა მიერ უცხოეთში გამოცემული და დოკუმენტების მწარმოებელთა მიერ გამავრცელებლების საშუალებით საქართველოში შემოტანილი დოკუმენტებიდან სავალდებულო ეგზემპლარის გადაცემა ეხება ყველა სახის დოკუმენტს, რომელთა რაოდენობა აღემატება 50 ეგზემპლარს. პასუხისმგებლობა ამ მუხლის შესრულებაზე ეკისრება დოკუმენტების მწარმოებლებს ამ კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად.

2. საქართველოში შემოტანილი დოკუმენტების სავალდებულო ეგზემპლარები გადაეცემა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას 2 ეგზემპლარის ოდენობით.

მუხლი 20. დოკუმენტების მწარმოებელთა უფლებები

1. დოკუმენტების მწარმოებლებს უფლება აქვთ მოსთხოვონ დოკუმენტების მიმღებებს:

ა)უფასოდ გამოაქვეყნონ ინფორმაცია გადაცემული სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ სახელმწიფო ბიბლიოგრაფიულ, სასიგნალო და რეფერატული ხასიათის გამოცემებში დოკუმენტების გადაცემიდან ერთი თვის განმავლობაში;

ბ) ჩართონ სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია ელექტრონულ კატალოგებსა და მონაცემთა ბაზებში;

გ)მიიღონ გადაცემული დოკუმენტების ასლები, აგრეთვე სტატისტიკური და ფაქტოგრაფიული ცნობები მათ მიერ გამოცემული პროდუქციის შესახებ;

დ) ასახონ სავალდებულო ეგზემპლარის გადაგზავნის ხარჯები შესაბამისი დოკუმენტების მთლიანი ტირაჟის თვითღირებულებაში.

თავი III

სავალდებულო ეგზემპლარის მიმღებები, მათი უფლებები და ვალდებულებები

მუხლი 21. ეროვნული საბიბლიოთეკო და საინფორმაციო ფონდების მფლობელები

დოკუმენტების ეროვნული საბიბლიოთეკო და საინფორმაციო ფონდები ყალიბდება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (შემდგომში - ეროვნული ბიბლიოთეკა) და საქართველოს ეროვნულ არქივში.

მუხლი 22. დოკუმენტების რეგიონალური მიმღებები

ავტონომიურ და სამხარეო სავალდებულო ეგზემპლარს ღებულობენ:

ა) აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკა – პაპასკირის სახელობის აფხაზეთის ეროვნული ბიბლიოთეკა;

ბ) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკა – ა. წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა.

გ) იმერეთის მხარე - ქუთაისის სამეცნიერო-უნივერსალური ბიბლიოთეკა;

დ) სამეგრელო–ზემო სვანეთის მხარე - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკა;

ე) გურიის მხარე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკა;

ვ) რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკა;

ზ) კახეთის მხარე – თელავის ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკა;

თ) სამცხე-ჯავახეთის მხარე – ახალციხის საბიბლიოთეკო გაერთიანების ცენტრალური ბიბლიოთეკა;

ი) შიდა ქართლის მხარე – გორის საბიბლიოთეკო გაერთიანების მთავარი ბიბლიოთეკა;

კ) ქვემო ქართლის მხარე - რუსთავის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკა;

ლ) მცხეთა–თიანეთის მხარე - მცხეთის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკა;

მუხლი 23. სავალდებულო ეგზემპლარის მიმღებთა უფლებები

1. სავალდებულო ეგზემპლარის მიმღებ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს უფლება აქვთ:
ა) მოითხოვონ არასრულყოფილი სავალდებულო ეგზემპლარის შეცვლა უფრო სრულყოფილი ეგზემპლარით;

ბ) მოითხოვონ დოკუმენტის ის ეგზემპლარი, რომელიც მათ დააკლო მწარმოებელმა ორგანიზაციამ;

გ) ჩამოტვირთონ თავის საარქივო სერვერებზე ნებისმიერი ქსელური დოკუმენტი, რომელიც ეკუთვნის დოკუმენტების საქართველოს მწარმოებელს (ფიზიკურ ან იურიდიულ პირს). შექმნან ქსელური დოკუმენტების ელექტრონული კატალოგი და ციფრული კოლექცია საზოგადოებრივი მოხმარებისათვის თავის ვებ-გერდზე. უზრუნველყონ ფასიანი ქსელური დოკუმენტების საარქივო ასლების ხელმისაწვდომობა დოკუმენტების ეროვნული მიმღების რეგისტრირებული მკითხველებისათვის მიმღების სამკითხველო დარბაზში, იმ დამატებითი პირობებით, რომელებიც იქნება განსაზღვრული მწარმოებელსა და მიმღებს შორის დადებულ ხელშეკრულებით, ხოლო უფასო ქსელური დოკუმენტების საარქივო ასლებისა–საყოველთაო ხელმისაწვდომობა.

მუხლი 24. სავალდებულო ეგზემპლარის მიმღებთა ვალდებულებები

1. სავალდებულო ეგზემპლარის მიმღები დაწესებულებები და ორგანიზაციები თავიანთი კომპეტენციის ფარლებში ვალდებულნი არიან:

ა) აწარმოონ სავალდებულო ეგზემპლარის ბიბლიოგრაფიული რეგისტრაცია და სტატისტიკა;

ბ) გამოსცენ მიმდინარე სარეგისტრაციო ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები წინამდებარე კონონით დადგენილი დოკუმენტების სახეობების მიხედვით;

გ) განახორციელონ კონტროლი სავალდებულო ეგზემპლარის მიღებასა და დაცვაზე მოქმედი სტანდარტების შესაბამისად;

დ) უზრუნველყონ დოკუმენტების საყოველთაო ხელმისაწვდომობა მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელების გზით;

ე) მიღებული დოკუმენტების ბაზაზე შექმნან მონაცემთა ინტეგრალური ბიბლიოგრაფიული ბაზები და აწარმოონ ამ მიმართულებით კოორდინაციული მუშაობა საქართველოს სხვა ბიბლიოთეკებთან;

ვ) დაიცვან ავტონომიური ელექტრონული დოკუმენტის სავალდებულო ეგზემპლარი მომავალი თაობებისათვის გამოსაყენებელ მდგომარეობაში. უზრუნველყონ ფასიანი ავტონომიური ელექტრონული დოკუმენტების სავალდებულო ეგზემპლარის ხელმისაწვდომობა მიმღების სამკითხველო დარბაზში დოკუმენტების ეროვნული მიმღების რეგისტრირებული მკითხველებისთვის საქართველოში მოქმედი საავტორო უფლებების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად;

ზ) ქსელური ელექტრონული დოკუმენტების მიმღები ვალდებულია გამოაქვეყნოს ინტერნეტში ინფორმაცია ახლადმიღებული დოკუმენტის შესახებ, შეიტანოს ქსელური ელექტრონული დოკუმენტის საარქივო ასლი საარქივო სერვერზე და ციფრულ კოლექციაში, შეიტანოს დოკუმენტის მეტა-მონაცემები ქსელური ელექტრონული დოკუმენტების არქივის ვებ-კატალოგში, დოკუმენტის მწარმოებლის მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდოს ქსელური დოკუმენტის მწარმოებელს არქივში შენახული მისი დოკუმენტის ასლი და უზრუნველყოს ქსელური ელექტრონული დოკუმენტების ხელმისაწვდომობა ეროვნული მიმღების მკითხველისთვის საქართველოში მოქმედი საავტორო უფლებების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად.

თ) ქსელური ელექტრონული დოკუმენტის მიმღები ვალდებულია ახალი დოკუმენტის შექმნის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე აცნობოს დოკუმენტის მწარმოებელს თავისი მზადყოფნის შესახებ ჩამოტვირთოს დოკუმენტი საარქივო სერვერზე და მიაწოდოს მეტა-მონაცემების სტანდარტული სია. დოკუმენტის წარმატებულ ჩამოტვირთვასა და მეტა-მონაცემების მიღებას დოკუმენტის მიმღები ატყობინებს დოკუმენტის მწარმოებელს.

მუხლი 25. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის უფლებამოსილებანი

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკის უფლებამოსილებანია:

1. ბეჭდური გამოცემების სახელმწიფო რეგისტრაცია (ბიბლიოგრაფიული დასტატისტიკური);
2. ბეჭდური გამოცემების სახელმწიფო ბიბლიოგრაფიული აღრიცხვის წარმოება;
3. ეროვნული ფონდის დაკომპლექტება სამამულო ბეჭდური გამოცემებით;
4. მათი დაცვის და გამოყენების უზრუნველყოფა რესპუბლიკური სავალდებულო ეგზემპლარის მიღების საფუძველზე;
5. ელექტრონული დოკუმენტების მიღების, შენახვის და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
6. კონტროლი მიღებული სავალდებულო ეგზემპლარის სისრულეზე.
7. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საქმიანობები.

მუხლი 26. სავალდებულო ეგზემპლარით სარგებლობის უფლება

1. სავალდებულო ეგზემპლარით სარგებლობის უფლება აქვს ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირს იმ წესების შესაბამისად, რომელიც მოქმედებს სავალდებულო ეგზემპლარის მიმღებ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

თავი IV. პასუხისმგებლობა და კონტროლი

მუხლი 27. კონტროლის განმახორციელებელი ორგანოები

1. დოკუმენტების მიმღებებისთვის სავალდებულო ეგზემპლარის გადაცემის კონტროლს ახორციელებს ეროვნული ბიბლიოთეკის ISBN წიგნის, ISMN მუსიკალური გამოცემების და ISSN სერიული გამოცემების საერთაშორისო სტანდარტული ნორმების განყოფილება.
2. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დოკუმენტების ეროვნული ფონდის მფლობელი ორგანიზაციისაგან ან დოკუმენტების რეგიონალური მიმღებისგან მწარმოებელს ეგზავნება წერილობითი შეტყობინება დარღვევის შესახებ, რომელიც მწარმოებელმა უნდა გამოასწოროს გაფრთხილებიდან ერთი თვის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მწარმოებელს დაეკისრება ამ კანონით გათვალისწინებული სანქცია სავალდებულო ეგზემპლარის გადაუცემლობისათვის.

მუხლი 28. მწარმოებელთა პასუხისმგებლობა

1. პირის პასუხისმგებლობა ამ კანონით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შემთხვევაში განისაზღვრება ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
2. ამ კანონით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე ოქმს ადგენს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი ორგანო (თანამდებობის პირი), ხოლო საქმეს განიხილავს სასამართლო.

3. დოკუმენტის მწარმოებელი პირის მიერ სავალდებულო ეგზემპლარის გადაუცემლობა -
   გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

მუხლი 29. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის 28-ე მუხლისა ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის 28-ე მუხლი ამოქმედდეს 2015 წლის პირველი იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 2014 წლის
№